სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N11 ხელშეკრულება
(საკანცელარიო ნივთების შეძენის შესახებ)

ბათუმი **2023 წელი**

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ - შემსყიდველი, ***შპს „აჭარის აქტივების მართვის კომპანია”***, წარმოდგენილი დირექტორის ნათია პატარაიას მიერ და მეორე მხრივ - ***შპს „პროვაიდერ.ჯი“*** მიმწოდებელი , წარმოდგენილი დირექტორის სალომე კიკვაძის მიერ, თანხმდებიან შემდეგზე:

A	CPV კოდი 39800000 CPV კოდი 39224000 CPV კოდი 18424300 CPV კოდი 37760000	საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია ცოცხები და ჯაგრისები და სხვა სხვადასხვა ტიპის ნივთები ერთჯერადი ხელთათმანები ტუალეტის ქაღალდი, ქაღალდის ცხვირსახოცები, პირსახოცები და ხელსახოცები
B	ხელშეკრულების მოქმედების ვადა	2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით
C	ხელშეკრულების შესრულების ვადა	მოთხოვნიდან 05 (ხუთი) კალენდარული დღე
D	ხელშეკრულების ღირებულება	312 ლარი
E	შესყიდვის საფუძველი	„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ს[1] ქვეპუნქტი
F	დაფინანსების წყარო	საკუთარი სახსრები
G	ნებართვის გაცემის თარიღი	20.03.2023 წელი
I	შავი სია	20.03.2023 წლის მდგომარეობით მიმწოდებელი შავ სიაში რეგისტრირებული არ არის

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ფორსმაჟორი“ - ,,მხარეები“ -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სამარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების N1 დანართით განსაზღვრული საქონელი.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების D ქვეპუნქტით.

4. საქონლის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული საქონელი შემსყიდველის მიერ საქონლის ღირებულების გადახდის დღეს. თუ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე არ აისახება თანხა, მაშინ შემსყიდველი ვალდებულია წარუდგინოს მიმწოდებელს საგადახდო დავალება. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

4.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.3 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან ***<u>10 სამუშაო დღის ვადაში</u>*** გადაიხადოს ხელშეკრულების D ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოძრავი ნივთების ღირებულება.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) პასუხი აგოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობაზე.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია, რომ მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება, სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,2% ოდენობით. საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შპს „აჭარის აქტივების მართვის კომპანია”,
ს/ნ 245399135
მის: ზუბალაშვილების 37, კორპუსი „ა“, მესამე სადარბაზო, მეორე სართული, ბინა 10.

დირექტორი
ნათია პატარაია

შპს „პროვაიდერ.ჯი”
ს/ნ 445427119
იურიდიული მის: ბათუმი, ფ.ხალვაშის VI ჩიხი №7
სს „თიბისი ბანკი’’
ა/ა GE68TB7380236020100007

დირექტორი
სალომე კიკვიძე

LLC Adjara Asset Management Company
Подписано цифровой подписью: LLC Adjara Asset Management Company
Дата: 2023.03.31 19:17:50 +04'00'

Salome Kikvadze 61001050902
Digitally signed by Salome Kikvadze
Date: 2023.03.20 14:24:41

დანართი 1.

	დასახელება	შესყიდვის სახსრები	cpv კოდი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება	დასახელება
1	სამზარეულოს საწმენდი სიფ კრემი 500 მ თეთრი	საკუთარი სახსრები	CPV 39800000	3	3.5	10.50	- საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია
2	დომესტოსი 3.5 გრ	საკუთარი სახსრები	CPV 39800000	3	12.6	37.80	- საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია
3	მოპის სათადარიგო მაკარენა 50 ს.	საკუთარი სახსრები	CPV 39224000	3	9.5	28.50	ცოცხები და ჯაგრისები და სხვა სხვადასხვა ტიპის ნივთები
4	ხელთათმანი სამეურნეო ლატექსის L	საკუთარი სახსრები	CPV 18424300	5	1.95	9.75	- ერთჯერადი ხელთათმანები
5	2361-ქაღალდის რულონი პერფორირებული	საკუთარი სახსრები	CPV 37760000	16	6.3	100.80	ტუალეტის ქაღალდი, ქაღალდის ცხვირსახოცები, პირსახოცები და ხელსახოცები
6	ნუას ტუალეტის ქაღალდი 32*3 (500967)	საკუთარი სახსრები	CPV 37760000	5	25	125.00	ტუალეტის ქაღალდი, ქაღალდის ცხვირსახოცები, პირსახოცები და ხელსახოცები